



**პრეზიდიუმის**

**გადაწყვეტილება**

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჩივრის  
ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ**

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმი  
შემდეგი შემადგენლობით:**

1. **ლაშა თორდია** - გენერალური აუდიტორი;
2. **ნინო ლომჯარია** - გენერალური აუდიტორის პირველი მოადგილე;
3. **ნოდარ ჯავახიშვილი** - გენერალური აუდიტორის მოადგილე;
4. **ვახტანგ კუყერაძე** - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
5. **ფრიდონ შენგელია** - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
6. **ვაჟა ბრაგვაძე** - თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
7. **თორნიკე შერმადინი** - ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
8. **ირაკლი წიწილაშვილი** - ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
9. **გიორგი მამრიკიშვილი** - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დეპარტამენტის უფროსი;
10. **ნოე ქაშიბაძე** - აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
11. **კახაბერ კირტავა** - აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
12. **ნატო ზაალიშვილი** - იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
13. **იოსებ გაბუნია** - შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
14. **ზურაბ აზნაურაშვილი** - პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის უფროსი;
15. **არჩილ კიკვაძე** - ადმინისტრაციის უფროსი;
16. **ბაჩა მგელაძე** - საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი.

**საჩივრის ავტორი:** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომ - სამინისტრო).

**წარმომადგენელი:** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე **ზაზა სოფრომაძე**; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დირექტორის მოადგილე **თამაზ მოდებაძე**; ამავე სააგენტოს სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტის უფროსი **ვაჟა ჯაფოშვილი**; ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **ლელა მამულაშვილი**; სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე **თეიმურაზ პირველაშვილი**; ამავე სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტის უფროსი **ნინო ხუციშვილი**; კონტროლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **ლიანა მიქელაძე**; სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი **მერაბ მაჭავარიანი**; სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს

მთავარი სპეციალისტი რამაზ შონია; ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე კახა ბერ წულუკიძე;

**მოწინააღმდეგე მხარე:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი;

**წარმომადგენელი:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი **ზაზა შეყილაძე**; წამყვანი აუდიტორი **ნინო ყიფიანი**; აუდიტორი **მარიამ ჭოლოკავა**.

**დავის საგანი:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2016 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის N89/36 ანგარიშის ნაწილობრივ გაუქმების შესახებ.

## I

### აღწერილობითი ნაწილი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმს 2017 წლის 20 იანვარს N01/3369 (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგ.: N455/29; 23.01.2017წ) საჩივრით მომართა სამინისტრომ. 2017 წლის 27 იანვრის პრეზიდიუმის სხდომის N620/30 საოქმო ჩანაწერით სამინისტროს საჩივარზე დადგინდა ხარვეზი წარმომადგენლობის უფლებამოსილების დადასტურებისა და საჩივრის მოთხოვნის დაზუსტების ნაწილში. აღნიშნული ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 10 დღე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურში 2017 წლის 13 თებერვალს წარმოდგენილი იქნა სამინისტროს 03 თებერვლის N01/6645 (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგ.: N1066/29) დაზუსტებული საჩივარი და მინდობილობა წარმომადგენლობის უფლებამოსილების დადასტურების შესახებ. პრეზიდიუმმა იმსჯელა და ხარვეზის შევსების გათვალისწინებით მიიღო გადაწყვეტილება სამინისტროს 2017 წლის 03 თებერვლის N01/6645 საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ.

წარმოდგენილი საჩივრით სამინისტრომ მოითხოვა ქვემოთ მოყვანილი საკითხების აუდიტის ანგარიშიდან ამოღება:

**1.** აუდიტის ანგარიშის 1.1. გარემოებასთან („არაფინანსური აქტივები“, გვ. 7-8) დაკავშირებით საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანების 34-ე მუხლის 36-ე პუნქტის თანახმად, შეძენის ოპერაციის დროს თუ შეუძლებელია მიწის და მასზე განლაგებული სხვა აქტივის ღირებულების გამიჯვნა, ოპერაციის კლასიფიცირება უნდა მოხდეს იმ აქტივის მიხედვით, რომელიც უფრო მაღალი ღირებულების მქონე აქტივად არის მიჩნეული. საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ მიწის გადმოცემისას არ დაფიქსირებულა მისი ღირებულება. აქედან გამომდინარე, ასახვა/არ ასახვა არ ცვლის ფინანსურ შედეგს ბალანსისთვის.

**2.** აუდიტის ანგარიშის 2.2. გარემოებასთან („ფინანსური აქტივები და ვალდებულებები“, გვ. 14-15) დაკავშირებით საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ შპს „საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის“ სასარჩელო განცხადებაზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დაეკისრა 84 520 ლარის გადახდა, საიდანაც 5 529 ლარი შეადგენდა სახელმწიფო ბაჟს. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული ვალდებულების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში მოხდა 2016 წელს, ინფორმაციის მიღებისთანავე.

**3.** აუდიტის ანგარიშის 2.3. გარემოებასთან („ფინანსური აქტივები და ვალდებულებები“ გვ. 15) დაკავშირებით საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ შპსGBG-ის მიმართ მოთხოვნა აღრიცხულია მიმდინარე წელს, ხოლო შემოწმების აქტების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნების ნაწილი, რომელთა მიხედვითაც სააგენტომ მიიღო შესაბამისი წერილები, აღრიცხულია 2016 წელს. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული რეგულირების სააგენტოს მიერ გამოცემული აქტების საფუძველზე წარმოქმნილი 711 294 ლარის დებიტორული დავალიანება, მათ შორის 2014 წელს - 36,802 ლარი და 2015 წელს 674,492 ლარი, აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ აუდიტის ჯგუფის მიერ ელ. ფოსტით მიწოდებული წერილებიდან, რომელთა საფუძველზეც უნდა ყოფილიყო ზეოაღნიშნული დებიტორული

დავალიანება, საერთოდ არ იყო გადმოგზავნილი სააგენტოში. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითებით არ არის მართებული იმის თქმა, რომ რეგულირების სააგენტოს მიერ გამოცემული აქტების საფუძველზე წარმოქმნილი 708 411 ლარი არ არის აღრიცხული.

**4.** აუდიტის ანგარიშის 2.4. გარემოებასთან („ფინანსური აქტივები და ვალდებულებები“, გვ. 16) დაკავშირებით საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ შპს ახალციხის კლინიკა „იმედი“-ს დავალიანება 4707 ლარი ჩამოწერილია 2016 წელს. ასევე, 19 პირის მიმართ არსებული დებიტორული დავალიანება 29 722 ლარი - ჩამოწერილია ინფორმაციის მიღების პერიოდში. ხოლო შპს „ადიკმა“ დაფარა დებიტორული დავალიანება 2015 წელს და ბუღალტრულ აღრიცხვაშიც სწორადაა ასახული მის ბარათზე. მეორე სახელწოდებით შპს „მარნეულის პედიატრიულ კლინიკაზე“, ტექნიკური ხარვეზიდან გამომდინარე, ხელმეორედიყო ჩამოწერილი იგივე დებიტორული დავალიანება, რომელიც 2016 წლის დასაწყისშივე გასწორდა საჩივრის ავტორის მიერ.

**5.** აუდიტის ანგარიშის 2.6. გარემოებასთან („ფინანსური აქტივები და ვალდებულებები“, გვ. 17) დაკავშირებით საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ საბალანსე ანგარიშზე „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“ (ანგარიშის N1354) აღრიცხვა განხორციელდა ინფორმაციის მიღებისთანავე.

**6.** აუდიტის ანგარიშის 3.2 გარემოებასთან („ხარჯები“, გვ. 18) დაკავშირებით საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ შტატგარეშე თანამშრომლების ანაზღაურებისას ხელმძღვანელობს „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის განკარგულებით (26.01.2015 N46, 27.08. N1807, 12.11.2015 N2428), რითაც განსაზღვრულია შტატგარეშე თანამშრომელთა რიცხოვნობა და საშუალო შრომის ანაზღაურება. კერძოდ, აღნიშნული განკარგულებებით იანვარ-აგვისტოში შტატგარეშეთა რიცხვი განისაზღვრა 908 ერთეულით, სექტემბერ-ოქტომბერში 957 და ნოემბერ-დეკემბერში - 1000 ერთეულით. აქედან 15 მომუშავეს საშუალო შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 5500 ლარით და 7 მომუშავეს - 5000 ლარით, ხოლო დანარჩენის 850 ლარით.

**7.** აუდიტის ანგარიშის 6.1. გარემოების („მაშტაბის შეზღუდვა“ გვ. 20-21) თაობაზე საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ინვენტარიზაციის შედეგებთან დაკავშირებით ვითარება გასწორებულია სააგენტოში მიმდინარე ინვენტარიზაციის პროცესში. მათ შორის დაზუსტდა იმ დებიტორების გამოვლენა, რომელთა ძიების ხანდაზმულობის ვადა გასულია და რომელთა ვალიც უკვე უიმედოა. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საინვენტარიზაციო კომისია ხელმძღვანელობასთან ერთად იმსჯელებს კანონმდებლობის ფარგლებში რა სახის ღონისძიებები უნდა გატარდეს ამგვარი ვალდებულებების სწორად მართვის მიზნით.

**8.** აუდიტის ანგარიშის 6.2. გარემოების („მაშტაბის შეზღუდვა“, გვ. 21-22) თაობაზე საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ თუ აუდიტის ანგარიშში კონკრეტულად იქნება მითითებული სააგენტოსადმი დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების მქონე ორგანიზაციების ჩამონათვალი შეუსაბამო თანხების მითითებით, შესაძლებელი იქნება ადექვატური პასუხის მომზადება. ამასთან, აუდიტის ანგარიშში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ანუ რა არ აქვს ან როგორ აქვს ასახული სააგენტოს დებიტორებს ან კრედიტორებს, საჩივრის ავტორის მოსაზრებით, არ არის მართებული იმსჯელო სააგენტოს ბალანსში ასახული დავალიანებების სიზუსტეზე.

**9.** საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშის 6.3. გარემოებაში („მაშტაბის შეზღუდვა“ გვ. 22) მოცემულ მოსაზრებას, რომ სახელმწიფო გასაცემელის მიმღები პირის საბანკო ანგარიშზე ზედმეტად ჩარიცხული თანხების ბიუჯეტში აღდგენისთვის სააგენტოს 2015 წლის 2 აპრილის №04-97/ო ბრძანებით დამტკიცებულია სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე დაბრუნების სააღრიცხვო სისტემის მომხმარებლის ინსტრუქცია და ბანკიდან დაუბრუნებელი თანხების ბიუჯეტში აღდგენისთვის გასატარებელი დამატებითი ღონისძიებების მეთოდოლოგია. ტერიტორიული ერთეული ვალდებულია სს „ლიბერთი ბანკიდან“ ბიუჯეტში დასაბრუნებლად გამოთხოვილი თანხების

შესახებ მიღებული ინფორმაციით განაახლოს გასაცემლების მიმღებთა ერთიანი სააღრიცხვო ბაზა. აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო ინფორმაცია 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ზედმეტად ჩარიცხული თანხის გამტანი პირების და შესაბამისად ამ დროისთვის მოთხოვნის ნაშთის შესახებ. სააგენტოში სისტემატიზებულია მხოლოდ 2015 წლის პირველი აპრილის შემდგომ ბანკისგან მიღებული თანხის გამტანი პირების შესახებ ინფორმაცია, რომელის მიხედვითაც 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო პენსია/სოციალური პაკეტის შემთხვევაში მესამე პირის მიერ გატანილი თანხა შეადგენდა 126 268 ლარს, ხოლო სახელმწიფო კომპენსაციის შემთხვევაში 30 804 ლარს. ამასთან, რიგ შემთხვევებში არ არის ცნობილი თანხის გამტანი მესამე პირის ვინაობა, ხოლო მათი დავალიანების თანხობრივი შეფასება წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შეუძლებელია.

აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ იმ შემთხვევებში, თუ ბენეფიციარის მიერ არ ხდება თანხების დაბრუნება, იწყება სასამართლო წარმოება. ხოლო, როდესაც არ არის ცნობილი თანხის გამტანი მესამე პირის ვინაობა, საკითხი შემდგომი შესწავლისა და თანხის გამტანი პირის ვინაობის დადგენის მიზნით გადაეცემა საგამომიებო ორგანოებს. წარმოშობილი დავალიანების სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე აღდგენა, თანხის აღდგენის პროცედურების სპეციფიურობიდან გამომდინარე, გრძელვადიანია და მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები.

**10.** აუდიტის ანგარიშის 2.1. გარემოებასთან („ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების მიმოხილვა“, გვ. 24) დაკავშირებით საჩივრის ავტორი „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“ ქვეპროგრამასთან მიმართებით სადავოდ ხდის აუდიტის ანგარიშში არსებულ ჩანაწერს, კერძოდ, „მიუხედავად იმისა, რომ 28 დეკემბერს ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, საქონლის მოწოდების ვადა გადაიწია 2016 წლის 1 თებერვლამდე, სააგენტოს მიერ 31 დეკემბერს კომპანიისათვის ავანსის სახით გადარიცხულ იქნა 46 500 ლარი.“ მოცემულ საკითხზე საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2015 წლის 28 დეკემბერს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ეფუძნებოდა „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებამდე და ამ პროგრამით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, 2015 წლის შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი ქვეპროგრამის (კომპონენტის, ღონისძიების) უწყვეტი განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსების წყაროსა და პირობების განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 დეკემბრის N647 დადგენილებას. აღნიშნული ნორმატიული აქტის პირველი მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი სააგენტოს ავალეზდა 2015 წელს ამ ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდული საქონლის (მომსახურების) ბენეფიციარებისთვის მიწოდების გაგრძელებას 2016 წელს. შესაბამისად, უკიდურესად გაჭირვებული, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი კონტინგენტის ინტერესების გათვალისწინებით, უფრო მეტი ოჯახისთვის პირველადი მოხმარების საგნების შესყიდვისა და მათი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისთვის, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ხელშეკრულების ვადის გადაწევის და მიმწოდებლის მიერ სათანადო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ, წინასწარი ანგარიშსწორების შესახებ. აღნიშნული ქმედებით სააგენტომ უზრუნველყო სახელმწიფო ბიუჯეტით მისთვის დამტკიცებული ასიგნებების სრული და მიზნობრივი ხარჯვა.

**11.** აუდიტის ანგარიშის 2.2. გარემოებასთან („ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების მიმოხილვა“, გვ. 24-25) დაკავშირებით საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის N381 დადგენილებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა მის მიერ ადმინისტრირებად „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში“ რეგისტრირებულ იმ ოჯახებზე, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი სარეიტინგო ქულა ტოლია ან არ აღემატება 70 000 - ს (სოციალურად დაუცველი ოჯახები), გასცეს სუბსიდია მოხმარებული ელექტროენერჯის მიხედვით, ტარიფის ზრდის შესაბამისი პერიოდისა და ტარიფის ზრდის შედეგად გამოწვეული დამატებითი თანხის ოდენობის გათვალისწინებით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მითითებული დადგენილების მე-6

მუხლით აღნიშნული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად დაევალა საჭირო ფინანსური რესურსის მობილიზებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება. სულ 2015 წლის ოქტომბერ-დეკემბერში მთავრობის განკარგულებების (N2091 06.10.2015წ, N2378, 09.11.2015, N2620 04.12.2015, N2738 18.12.2015) საფუძველზე გამოეყო 1 158 332 ლარი. რაც შეეხება 35 02 02 საბიუჯეტო კოდით გათვალისწინებული აქტივობების შეჩერებას, საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ არანაირი განსახორციელებელი ვალდებულება არ შეჩერებულა.

აუდიტის ანგარიშის 2.3. გარემოებასთან („ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების მიმოხილვა“, გვ. 25-26) დაკავშირებით, საჩივრის ავტორი არ ეთანხმება მოცემულ ჩანაწერს იმის შესახებ, რომ „ზოგიერთი ქვეპროგრამა, რომელსაც დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში ათვისების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს, ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ თავდაპირველ გეგმასთან შედარებით შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება, რაც ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს“ და აღნიშნავს, რომ მითითებული მაჩვენებლები, კერძოდ, სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას, ასევე, საკასო და დაზუსტებულ გეგმას შორის, შეესაბამება „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმებისა და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 აპრილის N112 ბრძანებას.

**12.** აუდიტის ანგარიშის 3.1 გარემოებასთან („ხარჯები“, გვ. 18) დაკავშირებით საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის ჩანაწერს იმის შესახებ, რომ, „რეგულირების სააგენტოს მიერ 2015 წლის განმავლობაში შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი (280,987ლარი) აღემატება 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (194,287 ლარი). სააგენტოდან მიღებული ცნობით ირკვევა, რომ აღნიშნული მატება გამოწვეული იყო სამსახურის ფუნქციებისა და კომპეტენციების ზრდით, თუმცა ანალიზით ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული მთავრობის განკარგულების გამოცემის შემდეგ სულ მიღებულია 8 შტატგარეშე თანამშრომელი (მაშინ როდესაც სააგენტოში წლის განმავლობაში 11 შტატი იყო ვაკანტური), რომელთა ჯამური ანაზღაურება წლის ბოლომდე შეადგენდა 28,300 ლარს.“ აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ რეგულირების სააგენტოს ”საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულების მოთხოვნები არ დაურღვევია, რადგან ამავე განკარგულების დანართის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს გამონაკლისის დაშვებას (ფუნქციების და კომპეტენციების ზრდა). საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ აუდიტის ჯგუფს მიეწოდა ინფორმაცია რეგულირების სააგენტოს ფუნქციებისა და კომპეტენციების მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ, რაც ასახულია ანგარიშში. რეგულირების სააგენტოს 2014-2015 წლებში ვაკანსიები ჰქონდა, როგორც სამშტატო განრიგში, ასევე, შტატგარეშე მომუშავე თანამშრომელთა რიცხოვნების ლიმიტში. დანიშვნის პროცედურების და ადმინისტრირების სიმარტივის გამო, უპირატესობა მიენიჭა შტატგარეშე თანამშრომელთა დანიშვნას.

**13.** საჩივრის ავტორი ასევე არ თანხმება აუდიტის ანგარიშის 4.1. გარემოებაში („შრომის ანაზღაურება“, გვ. 28) მოცემულ შეფასებას, რომლის თანახმად, სააგენტოში არ არის დამტკიცებული სამუშაო აღწერილობები. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, შტატგარეშე თანამშრომლებთან დადებულ ხელშეკრულებებში მითითებული შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობის დანართი უმრავლეს შემთხვევაში არ არსებობს.

საჩივრის ავტორი აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მიხედვით, სააგენტოს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე ორგანიზაციის, ადამიანურ რესურსს ქმნიან სამშტატო და შტატგარეშე თანამშრომლები - დასაქმებულები. საქართველოს ორგანული კანონი - „საქართველოს შრომის კოდექსი“, რომლის მოქმედება სრული მოცულობით ვრცელდება სააგენტოში წარმოშობილ შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებზე, არ იცნობს ტერმინს „სამუშაო აღწერილობა“. ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი სააგენტოში წარმოშობილ შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებზე ვრცელდება ნაწილობრივ, საჯარო კონკურსის გზით, მოხელესთან გათანაბრებული სტატუსის მქონე სააგენტოს სამშტატო ერთეულზე პირის დასაქმების კუთხით. სააგენტოს საქმიანობის გათვალისწინებით, მისი ფუნქციური მიმართულებები არ არის წარმოდგენილი სისტემატიზირებული სახით, ის მიმოხილულია სხვადასხვა კანონებში და კანონქვემდებარე აქტებში. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სწორედ, ამ

კონტექსტში უნდა მოხდეს სააგენტოში არსებული შრომითი ხელშეკრულების ტექსტში ჩანაწერის განხილვა, რომლის მიხედვითაც „დანართი N1 (სამუშაოს აღწერილობა) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ და შემადგენელ ნაწილს.“ საჩივრის ავტორის განმარტებით ასეთი მოცემულობა განპირობებულია დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ხოლო 2017 წლის პირველი ივლისიდან ძალაში შედის სრულიად ახალი კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, რომლის მიზანსაც წარმოადგენს საქართველოს ერთიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა. ამ კანონს სამართლებრივ მიმოქცევაში შემოაქვს ტერმინი „სამუშაო აღწერილობა“ და ვინაიდან, მისი მოქმედება სრულად გავრცელდება სააგენტოს საქმიანობაზეც, სააგენტო, საჯარო სამსახურის ბიუროსთან ერთად და მათი კოორდინაციის ქვეშ, უკვე ჩართულია შესაბამისი ადაპტირების პროცესში და გარკვეული სამუშაოც აქვს ჩატარებული ამ მიმართულებით.

**14.** საჩივრის ავტორს უსაფუძვლოდ მიაჩნია აუდიტის ანგარიშის 4.1. გარემოებაში („შრომის ანაზღაურება“, გვ. 28) მოცემული ჩანაწერი იმის შესახებ, რომ „რეგულირების სააგენტოში პრემიების და დანამატების გაცემის ფორმალურ საფუძველს წარმოადგენს ხელმძღვანელის ბრძანება. მოცემულ ბრძანებებში არ არის მითითებული შრომის ანაზღაურების (პრემიის, სახელფასო დანამატი) გაცემის საფუძვლები. ამასთან, ვერ იქნა წარმოდგენილი დანამატების და პრემიის გაცემის მატერიალური კანონიერების (ზეგანაკვეთური ან/და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულების) დამადასტურებელი რაიმე სახის აუდიტორული მტკიცებულება.“

აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ 2015 წლის მაისიდან, ყველა (პრემიის, სახელფასო დანამატის) ბრძანებას თან ერთვის მოხსენებითი ბარათები, შესაბამისი კურატორი მოადგილის, ან დეპარტამენტის უფროსის ხელმოწერით დამოწმებული, სადაც გაწერილია რომელი თანამშრომელი იმსახურებს წახალისებას, შესაბამისი სახელფასო დანამატის, ან პრემიის ოდენობის რეკომენდაციით. მოხსენებითი ბარათების წარმოდგენის შემდეგ, რეგულირების სააგენტოს უფროსთან, კურატორი მოადგილეების, დეპარტამენტების ხელმძღვანელების და ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ერთად, ხდება განხილვა, თუ ვინ რა რაოდენობის სახელფასო დანამატს, პრემიას იმსახურებს. დანამატის და პრემიის გაცემისას, გათვალისწინებულია თანამშრომელზე დაკისრებული დავალებების რაოდენობა, სირთულე და შესრულების ხარისხი. ასევე არასამუშაო საათებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება.

**15.** საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშის 4.1. გარემოებაში („შრომის ანაზღაურება“, გვ. 28) მოცემულ ჩანაწერს, სადაც აღნიშნულია, რომ „რეგულირების სააგენტოში 2015 წლის პირველ 5 თვეში დანამატის გაცემა ხდებოდა ერთსადაიმავე - 22, ივნისი-ოქტომბერში - 46, ხოლო ნოემბერ-დეკემბერი 58 თანამშრომელზე. წახალისებულ თანამშრომელთა ნაწილი საერთოდ არ ატარებს საშვს, ნაწილს გვიან შემოსვლა და ადრე გასვლა უფიქსირდება, ხოლო 1 მათგანი კი მხოლოდ 2-3 საათს ატარებს სამსახურში“. აღნიშნულთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ რეგულირების სააგენტოსთან შეჯერების გარეშე, აღნიშნული ინფორმაცია ვერ იქნება ზუსტი, ვინაიდან, გასათვალისწინებელია თანამშრომელთა მივლინებები, შვებულები, კომისიებში ჩართულობა, კონკრეტული დავალებების შესრულება და ა.შ. რაც შეეხება 1 მათგანის მხოლოდ 2-3 საათის გატარებას სამსახურში (მომჩივანის ინფორმაციით, საუბარია მძღოლზე), არ შეესაბამება სინამდვილეს და იგი უმეტეს შემთხვევებში შაბათ-კვირასაც სამსახურშია და ასრულებს სხვადასხვა კონკრეტულ დავალებას.

**16.** საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში (5. კონტროლის სისუსტეები, გვ. 29) მოცემულ ჩანაწერს, სადაც აღნიშნულია, რომ „არ ხდება გამოცემული რევიზიის აქტების და მასთან დაკავშირებული მასალების რეგისტრაცია საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად. კერძოდ, სააგენტოს მიერ გამოცემული აქტები არ არის დანომრილი, არ არსებობს ხელმოწერილი რეესტრი თუ ვისთან - რომელ თანამშრომელთან რა რაოდენობის აქტები ინახება.“

აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, 2015 წლის 23 თებერვლამდე და „ვერტიკალური“ პროგრამების ფარგლებში - 2015 წლის 1 ივლისამდე, რევიზიის აქტები არ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტს (დადასტურებულია სასამართლოს გადაწყვეტილებით: საქმე N3/3150-12, 26.02.13წ; საქმე N3/4195-13, 30.01.14წ; საქმე N03/716-14, 26.03.14წ; საქმე N3/1872-15, 04.08.15წ და ა.შ.) და



რეგულირების სააგენტოს არ ქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის გათვალისწინებული რეკვიზიტებით (მათ შორის, ნომრით) რევიზიის აქტების აღჭურვის ვალდებულება.

ამასთან, საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის რევიზიის ყველა აქტს, 2015 წლის 23 თებერვლიდან და 2015 წლის „ვერტიკალური“ სახელმწიფო პროგრამების რევიზიის ყველა აქტს 2015 წლის 1 ივლისიდან მინიჭებული აქვს ნომერი და რეგისტრირებულია ჟურნალში, რეგულირების სააგენტოს უფროსის ბრძანების შესაბამისად.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ გაუგებარია რის საფუძველზე იქნა გაკეთებული „რეესტრთან“ დაკავშირებული დასკვნა, ვინაიდან, აუდიტის ჯგუფს არ მოუთხოვია „რეესტრი“. რევიზიის აქტები ინახება რეგულირების სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტში. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის N414 ბრძანებულებით არ არის გათვალისწინებული „ხელმოწერილი რეესტრის“ წარმოება.

**17.** საჩივრის ავტორი სადავოდ ხდისაუდიტის ანგარიშში (5. კონტროლის სისუსტეები, გვ. 29) მოცემულ ჩანაწერს იმის შესახებ, რომ "სარევიზიო ჯგუფის წევრები სამსახურებრივ საქმიანობას ეწეოდნენ (ვიან) ერთდროულად - როგორც დეპარტამენტში, ასევე შესამოწმებელ სამედიცინო დაწესებულებებში. არის ისეთი შემთხვევა, როდესაც პირს მიღებული აქვს შემოსავალი იმ სამედიცინო დაწესებულებიდან, სადაც ამავე პერიოდში ამავე დაწესებულებაში ახორციელებდა რევიზიას. აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივრის ავტორის განმარტავს, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს თანამშრომლები, როგორც შტატით, ასევე, ხელშეკრულებით, თანამდებობაზე დანიშნულები არიან „საქართველოს შრომის კოდექსის“ შესაბამისად. ამასთან, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში დასაქმებულ თანამშრომლებზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-32-ე მუხლები, რომლებიც ეხება თანამშრომელთა კონკურსის წესით დასაქმების საკითხებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირის თანამშრომლებზე (გარდა სსიპ-ის უფროსის და მოადგილისა) არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სამსახურებრივი შეუთავსებლობა.

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გარკვეულ შეზღუდვას ითვალისწინებს „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-8 მუხლი. ამ მუხლიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ დასაქმებულის შრომითი ურთიერთობის შეზღუდვა ეხება სხვა სამსახურში შეთავსებით დამსაქმებელს და არა რეგულირების სააგენტოს. ამასთანავე, რეგულირების სააგენტოს, თანამშრომლების შეთავსებით დასაქმების თაობაზე, ინფორმაცია არ გააჩნდა და ვერც ექნებოდა. ამასთან, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ რეგულირების სააგენტოს შემთხვევაში, ზოგიერთი თანამშრომლის შეთავსებით სხვა სამსახურში დასაქმებას არ გამოუწვევია ძირითადი სამუშაოს შესრულებაში ხელის შეშლა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მოცემულ საკითხზე საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ აუდიტის ჯგუფის მიერ მითითებული 17 თანამშრომლიდან 4 თანამშრომელი, აუდიტის ანგარიშის მომზადების დროს, გათავისუფლებული იყო სააგენტოდან. 7 თანამშრომელი არასდროს ეწეოდა სამსახურებრივ საქმიანობას ერთდროულად - როგორც დეპარტამენტში, ასევე, შესამოწმებელ სამედიცინო დაწესებულებებში. ხოლო ფინანსური ანგარიშის მომზადების მომენტისთვის, რეგულირების სააგენტოს არც ერთი თანამშრომელი არ იყო დასაქმებული სამედიცინო დაწესებულებაში.

რაც შეეხება ანგარიშში დაფიქსირებულ შემთხვევას, თითქოს სააგენტოს თანამშრომელს მიღებული აქვს შემოსავალი იმ სამედიცინო დაწესებულებიდან, სადაც ამავე პერიოდში ახორციელებდა რევიზიას, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საკითხი ეხება სააგენტოს თანამშრომელს ზ. ლემკაშელს, რომელსაც შპს „ავერსის კლინიკამ“ დაუფინანსა წიგნის („აფხაზეთი - გმირები დაკარგული თაობიდან“) გამოცემა. აღნიშნული წიგნი ზ. ლემკაშელმა მიუძღვნა სამშობლოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ, აფხაზეთის ომის გმირებს, ომში დაღუპულ ექიმებს და შპს „ავერსის კლინიკის“ ქველმოქმედება თვალსაჩინოდაა მითითებული წიგნში.

საჩივრის ავტორი დამატებით აღნიშნავს, რომ შპს „ავერსის კლინიკის“ ფილიალში სახელმწიფო პროგრამების რევიზია განხორციელდა 2014 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. კომისიას, რომლის შემადგენლობაში იყო ზ. ლემკაშელი, დაევალა ქვემო ქართლის რეგიონის 33 სამედიცინო

დაწესებულების, მათ შორის, შპს „ავერსის კლინიკის“ ფილიალის რევიზია. აღნიშნული დაწესებულების მიმართ, რევიზიის შედეგად, გატარებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

**18.** აუდიტის ანგარიშში (5. კონტროლის სისუსტეები, გვ.29) მოცემულია, რომ რევიზიის შედეგად აღმოჩენილი დარღვევების შემთხვევაში, აქტის საფუძველზე, მიმწოდებელს ეკისრება უკვე ანაზღაურებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება ან/და დამატებითი ფინანსური ჯარიმის გადახდა ვალდებულების აღიარების თარიღიდან 60 კალენდარულ დღეში. რეგულირების სააგენტოს მიერ 2015 წელს სააგენტოში ინფორმაცია გადაგზავნილია დიდი დაგვიანებით, რის გამოც გვიანდება სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების აღდგენის ან/და საჯარიმო სანქციების გადახდა, ვინაიდან სააგენტო სამედიცინო დაწესებულებისთვის ბიუჯეტში დასაბრუნებელი თანხის 60 დღიანი ვადის ათვლას იწყებს რეგულირების სააგენტოს მიერ გადმოგზავნილი კორესპოდენციის ჩაბარების თარიღიდან და არა აღიარების თარიღიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ რაც შეეხება შენიშვნას სოციალური მომსახურების სააგენტოში ინფორმაციის დაგვიანებით გადაგზავნის თაობაზე, აუდიტის ანგარიშის მე-5 პუნქტისსქოლიოში მითითებული საქართველოს მთავრობის N36 და N308 დადგენილებების ფარგლებში დამდგარ შემთხვევების რევიზიის შედეგების თაობაზე მოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისათვის საჭირო პროცედურებს უზრუნველყოფს რეგულირების სააგენტო და არა სოციალური მომსახურების სააგენტო. შესაბამისად, N36 და N308 დადგენილებებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამების რევიზიის შედეგები, აღსრულებისათვის საჭირო პროცედურების უზრუნველყოფისათვის, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოში“ გადაგზავნილი არ არის. შესაბამისად, ვერც ინფორმაციის გადაგზავნა და ვერც სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების გადახდა ვერ დაგვიანდებოდა. ამასთან, საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული დადგენილებების ფარგლებში დაკისრებული საჯარიმო სანქციები, ყველა დაწესებულების მიერ უკვე შესრულებულია (ბიუჯეტში თანხა გადახდილი არ აქვს მხოლოდ ერთ დაწესებულებას, რომლის ხელმძღვანელმა დატოვა საქართველო. რეგულირების სააგენტოს მიერ სასამართლოში შეტანილია სარჩელი და მის უფლებამონაცვლე პირთან ამ ეტაპზე გვაქვს სასამართლო დავა). რაც შეეხება N308 დადგენილებამდე დამდგარ შემთხვევებს, რომელთა აღსრულებისათვის საჭირო პროცედურების უზრუნველყოფა რეგულირების სააგენტოს უფლებამოსილებას არ წარმოადგენს, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსით აქტების აღსრულებისთვის დადგენილია 3 წლიანი ვადა, რომელიც რეგულირების სააგენტოს მხრიდან არც ერთ შემთხვევაში დარღვეული არ არის.

ამასთან, საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ აუდიტის ჯგუფის წევრებისთვის ახსნილი იქნა მუშაობის სპეციფიკა. რეგულირების სააგენტოს რესურსის გათვალისწინებით, კომისიას, ერთი და იგივე ბრძანების ფარგლებში, ხშირ შემთხვევაში, ევალება რამდენიმე დაწესებულების რევიზია და/ან იმავე დაწესებულებებში, რეგულირების სააგენტოს კომპეტენციებს მიკუთვნებული სხვა საკითხების შესწავლაც. აღნიშნული საჭიროებს გაცილებით მეტ რესურსს, როგორც ადამიანურს, ასევე, ფინანსურს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამგვარი მუშაობის მიზანშეწონილობის საკითხს.

### **მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია:**

სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის ზაზა შეყილაძის მიერ წერილობით წარმოდგენილი იქნა მოსაზრებები სამინისტროს საჩივართან დაკავშირებით. მოწინააღმდეგე მხარე მიიჩნევს, რომ სამინისტროს საჩივრის მოთხოვნა უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ნაწილობრივ.

## **II**

### **სამოტივაციონაწილი:**

საჩივრისგაცნობის, საქმეში არსებული მასალების შესწავლისა და შემოწმების, გამოცხადებული მხარეების მოსაზრებების მოსმენის, საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შეფასების, ამ გარემოებათა ურთერთშეჯერების, საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გაანალიზებით, პრეზიდენტის მივიდადასკვნამდე, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში 2017 წლის 03 თებერვალს სამინისტროს მიერ წარმოდგენილი საჩივარი (N01/6645; სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგ.: N1066/29, 13.02.2017წ.) უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:



### **1. აუდიტის ანგარიშის 1.1. გარემოება („არაფინანსური აქტივები“, გვ.7-8)**

პრეზიდენტი მიუთითებს, რომ სადავო საკითხთან მიმართებაში საჩივრის ავტორის მიერ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 34-ე მუხლის 36-ე პუნქტით დადგენილ ნორმაზე აპელირება, რომელიც განსაზღვრავს სააღრიცხვო პოლიტიკას იმ შემთხვევისთვის, როდესაც არაფინანსური აქტივის მიღების დროს შეუძლებელია მიწის და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის ღირებულების გამიჯვნა, უსაფუძვლოა, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში აუდიტის ჯგუფის მსჯელობა მიმართულია ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, როდესაც შესაძლებელია მიწისა და შენობა-ნაგებობების გამიჯვნა და შესაბამისად, მათი ცალ-ცალკე ღირებულების დადგენა, რასაც ითვალისწინებს ხსენებული ინსტრუქციის 34-ე მუხლის 35-ე პუნქტი. საჩივრის ავტორს აღნიშნულის უარსაყოფი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია.

დაუსაბუთებელია ასევე საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მიწის ღირებულების ასახვა/არასახვა არ ცვლის ფინანსურ შედეგს ბალანსისთვის. პრეზიდენტი მიუთითებს ზემოთ აღნიშნული ინსტრუქციის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის დანაწესზე, რომლის თანახმად, „არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით აღრიცხება ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენა, რომელსაც გავლენა აქვს არაფინანსურ აქტივებზე და მისი ღირებულების/მოცულობის/შემადგენლობის ცვლილება შეუძლია: ა) შესყიდვა/გაყიდვა, ბარტერი, ნატურით ან ტრანსფერით მიღება/გაცემა; ბ) წარმოება საკუთარი მოხმარებისთვის ან გასაყიდად/გასასხვისებლად; გ) არსებითი გაუმჯობესება; დ) ძირითადი კაპიტალის მოხმარება.“

ამდენად, პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ არ არსებობს აუდიტის ანგარიშის ამ ნაწილში გაუქმების საფუძველი.

### **2. აუდიტის ანგარიშის 2.2. გარემოება („ფინანსური აქტივები და ვალდებულებები“, გვ.14-15)**

პრეზიდენტი იზიარებს აუდიტის ანგარიშში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ შპს საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის სასარგებლოდ დაკისრებული 84, 520 ლარის გადახდა სააგენტოს მიერ უნდა ასახულიყო შესაბამისი პერიოდის - 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად, ანგარიშგების თარიღის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენები ერთეულისაგან საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირებას, ან ისეთი მუხლების აღიარებას, რომლებიც მანამდე არ იყო აღიარებული. მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ანგარიშგების თარიღის შემდგომ მაკორექტირებელ მოვლენასთან, ვინაიდან სააგენტოს გააჩნდა მტკიცებულებები ანგარიშგების თარიღისათვის ვალდებულების აღიარების, როგორც იურიდიული, ისე კონსტრუქციული საფუძველების არსებობის თაობაზე. მოვალეობის წარმოშობის იურიდიულ საფუძველს წარმოადგენდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილება შპს „საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის“ სასარჩილო განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე, რომლითაც სააგენტოს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ დაეკისრა 78,991 ლარის გადახდა, ხოლო კონსტრუქციულ საფუძველზე მიუთითებს აუდიტის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ იურიდიული დეპარტამენტის 2016 წლის 9 თებერვლის N04-2046 მოხსენებითი ბარათი, ასევე ამავე სააგენტოს უფროსის 2014 წლის 8 აპრილის N04-5359 მოხსენებითი ბარათი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სახელზე), რომლითაც დასტურდება სააგენტოს მხრიდან აღნიშნული ვალდებულების აღიარების ფაქტი.

ამდენად, პრეზიდენტი მიუთითებს, რომ არ არსებობს აუდიტის ანგარიშის ამ ნაწილში გაუქმების საფუძველი.

### **3. აუდიტის ანგარიშის 2.3. გარემოება („ფინანსური აქტივები და ვალდებულებები“ გვ. 15)**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის მე-9 მუხლის მე-11 პუნქტის მხედველობაში მიღებით, პრეზიდენტი მიუთითებს, რომ შპს GBG-ის მიმართ ფინანსური მოთხოვნის ასახვა უნდა განხორციელებულიყო სააგენტოს 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ვინაიდან აღნიშნული ნორმატიული დანაწესის შესაბამისად, „ოპერაციები და სხვა მოვლენები

ბუღალტრულ ჩანაწერებში აღირიცხება პირველად დოკუმენტებში მითითებული ეკონომიკური მოვლენის მოხდენის თარიღით, ხოლო მიეკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებას, როდესაც მოვლენას ჰქონდა ადგილი“.

პრეზიდენტი დადასტურებულად მიიჩნევს ასევე სააღრიცხვო სისტემის ხარვეზის არსებობას რეგულირების სააგენტოს მიერ გამოცემული აქტების საფუძველზე წარმოქმნილი დებიტორული დავალიანებების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვასთან დაკავშირებით.

ამდენად, პრეზიდენტი მიუთითებს, რომ არ არსებობს აუდიტის ანგარიშის ამ ნაწილში გაუქმების საფუძველი.

#### **4. აუდიტის ანგარიშის 2.4. გარემოება („ფინანსური აქტივები და ვალდებულებები“, გვ. 16)**

პრეზიდენტი მიუთითებს, რომ რეგულირების სააგენტოს რევიზიის აქტების საფუძველზე შპს „ახალციხის კლინიკა იმედის“ მიერ 2014 წელს გადახდილი 4,707 ლარისა და 19 პირის მიერ 2014-2015 წლებში გადახდილი 29,722 ლარის ჩამოწერა არ განხორციელებულა საქართველოს ფინანსთა მინისტრის №429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნათა დაცვით, რომლის მე-9 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, ოპერაციები და სხვა მოვლენები ბუღალტრულ ჩანაწერებში აღირიცხება პირველად დოკუმენტებში მითითებული ეკონომიკური მოვლენის მოხდენის თარიღით, ხოლო მიეკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებას, როდესაც მოვლენას ჰქონდა ადგილი.

რაც შეეხება შპს „ადიკის“ მიერ 2015 წელს გადახდილი დავალიანების (1,500 ლარის) სააგენტოში სამეურნეო ოპერაციის გატარების საკითხს, აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი ეთანხმება აუდიტის ანგარიშში გამოთქმულ შეფასებას და განმარტავს, რომ „ადიკის“ მიერ გადახდილი დებიტორული დავალიანება ბუღალტრულ აღრიცხვაში სწორად არის ასახული მის ბარათზე, ხოლო შპს „მარნეულის პედიატრიულ კლინიკაზე“ ტექნიკური ხარვეზიდან გამომდინარე, მეორედ იყო ჩამოწერილი იგივე დებიტორული დავალიანება, რაც გასწორებული იქნა 2016 წელს.

ამდენად, პრეზიდენტი მიუთითებს, რომ არ არსებობს აუდიტის ანგარიშის ამ ნაწილში გაუქმების საფუძველი.

#### **5. აუდიტის ანგარიშის 2.6. გარემოება („ფინანსური აქტივები და ვალდებულებები“, გვ.17)**

პრეზიდენტი იზიარებს აუდიტის ანგარიშში მოცემულ შეფასებას, რომ განსახილველ შემთხვევებში განხორციელებული ოპერაციები და მოთხოვნის აღიარება სწორად არ არის მიკუთვნებული შესაბამის საანგარიშგებო პერიოდს. საჯარო სექტორში ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის შესაბამისობის საფუძველები მკაფიოდ განსაზღვრავს სააღრიცხვო რეგისტრებში ოპერაციის რეგისტრაციის ვადებს და შესაბამის საანგარიშგებო პერიოდზე მიკუთვნების საკითხს, ასევე მოთხოვნის აღიარების მომენტს. კერძოდ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის №429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები შედგენილ უნდა იქნეს ეკონომიკური მოვლენების მოხდენის მომენტში, ხოლო, თუ ეს შეუძლებელია, უშუალოდ მისი დამთავრებისთანავე და აღრიცხვაში ასახვის მიზნით, ბუღალტერიას უნდა გადაეცეს არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, თუ ორგანიზაციის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა ვადა (პირველადი ან ნაერთი (კრებსითი) დოკუმენტების ჩაბარების) არ არის დადგენილი“, ხოლო ამავე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, „ოპერაციები და სხვა მოვლენები ბუღალტრულ ჩანაწერებში აღირიცხება პირველად დოკუმენტებში მითითებული ეკონომიკური მოვლენის მოხდენის თარიღით, ხოლო მიეკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებას, როდესაც მოვლენას ჰქონდა ადგილი.“ ამავე ინსტრუქციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტით კი, მოთხოვნის აღიარების მომენტად განსაზღვრულია „დრო, როდესაც ოპერაცია მოიცავს არსებული ფინანსური აქტივის გაცვლას ან ფინანსური აქტივის წარმოშობას ან გაუქმებას, დგება მაშინ, როდესაც ხელშეკრულება ხელმოწერილია ან კრედიტორი დებიტორს უხდის თანხას ან გადასცემს სხვა რომელიმე ფინანსურ აქტივს.“

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პრეზიდენტი მიუთითებს, რომ არ არსებობს აუდიტის ანგარიშის ამ ნაწილში გაუქმების საფუძველი.

#### **6. აუდიტის ანგარიშის 3.2 გარემოება („ხარჯები“, გვ.18)**

პრეზიდენტი იზიარებს საჩივრის ავტორის განმარტებას და აღნიშნავს, რომ აუდიტის ანგარიშში მოცემული აუდიტორული შეფასება შეიცავს უზუსტობას. საჩივრის ავტორის მოსაზრებას დაეთანხმა აუდიტის ჯგუფიც.

პრეზიდენტი მიუთითებს, რომ ამ ნაწილში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება.

### **7. აუდიტის ანგარიშის 6.1. გარემოება („მასშტაბის შეზღუდვა“ გვ.20-21)**

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორი თავის მსჯელობაში ეთანხმება აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოების აუდიტორულ შეფასებას და აუდიტის ობიექტმა დასახა ღონისძიებები მოცემული პრობლემის მოსაგვარებლად.

ამდენად, პრეზიდენტი მიუთითებს, რომ არ არსებობს აუდიტის ანგარიშის ამ ნაწილში გაუქმების საფუძველი.

### **8. აუდიტის ანგარიშის 6.2. გარემოება („მასშტაბის შეზღუდვა“, გვ.21-22)**

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ აუდიტის მასშტაბის შეზღუდვა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით არის შემთხვევა, როდესაც აუდიტორი ვერ ახერხებს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვებას, რომელსაც დაეყრდნობა მისი მოსაზრება.

აუდიტის ჯგუფის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მასშტაბის შეზღუდვა უკავშირდებოდა იმ გარემოებებს, რომ ძირითადი აუდიტორული პროცედურები (გარე დადასტურება) არ აღმოჩნდა საკმარისი დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების სიზუსტის შესახებ გონივრული რწმუნების მისაღებად. ამასთან, არც სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული კონტროლის საშუალებები იყო ეფექტური. აღნიშნული იმაში გამოიხატებოდა, რომ იმ დებიტორებიდან (134 ერთეული - 9,071,291 ლარი), რომლებსაც გაეგზავნათ დასტურის წერილები, მხოლოდ 22 (მოთხოვნის თანხა 3,571,629 ლარი) ორგანიზაციიდან იქნა მიღებული პასუხი. კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში კი, წერილი გაეგზავნა 4 კრედიტორს (თანხა 41,738 ლარი), ხოლო პასუხი არც ერთი კრედიტორისგან არ იქნა მიღებული. ვერც ალტერნატიული პროცედურების განხორციელება გახდა შესაძლებელი, ვინაიდან სოციალური მომსახურების სააგენტოს დებიტორული დავალიანების დიდ წილს შეადგენს ხანდაზმული დავალიანებები, რომლებიც წარმოქმნილია ინსპექტირების შედეგად. აღნიშნული თანხების ბიუჯეტში აღდგენას ორგანიზაციები ახორციელებენ ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვით. იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციას საგადახდო დავალებაში არ აქვს მითითებული დავალიანების წარმოქმნის საფუძველი, ხაზინის ამონაწერით ვერ ხერხდება კონკრეტული დავალიანების იდენტიფიცირება, რომლის დაფარვის მიზნითაც განხორციელდა აღნიშნული გადახდა. ამასთან, დავალიანების მქონე ორგანიზაციების მიხედვით არ არის განხორციელებული მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია და შესაბამისად, არ არის გაფორმებული შედარების აქტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პრეზიდენტი დასაბუთებულად მიიჩნევს ამ საკითხზე აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას და მიუთითებს, რომ არ არსებობს აუდიტის ანგარიშის ამ ნაწილში გაუქმების საფუძველი.

### **9. აუდიტის ანგარიშის 6.3. გარემოება („მასშტაბის შეზღუდვა“, გვ.22)**

აუდიტის ჯგუფის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მასშტაბის შეზღუდვა უკავშირდება იმ გარემოებას, რომ სააგენტო 2015 წლის 1 აპრილამდე არ აწარმოებდა სახელმწიფო გასაცემლების ზედმეტად ჩარიცხული თანხების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნების აღრიცხვას. შესაბამისად, არ არსებობდა სააღრიცხვო ჩანაწერები. ამასთან, შეუძლებელი გახდა ალტერნატიული პროცედურების განხორციელება. აუდიტის ჯგუფის 2016 წლის 17 აგვისტოს №6590/16 წერილის საფუძველზე, სოციალური მომსახურების სააგენტომ მიმართა სს „ლიბერთი ბანკს“, რათა მიეღო ბენეფიციართა პირად ანგარიშებზე პენსიის თანხების მოძრაობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რის მოსამზადებლად ბანკმა ითხოვა 552 სამუშაო დღე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პრეზიდენტი დასაბუთებულად მიიჩნევს ამ საკითხზე აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას და მიუთითებს, რომ არ არსებობს აუდიტის ანგარიშის ამ ნაწილში გაუქმების საფუძველი.

### **10. აუდიტის ანგარიშის 2.1. გარემოება („ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების მიმოხილვა“, გვ.24)**

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო წლის ბოლოს წინასწარი ანგარიშსწორების მიზანშეწონილობის საკითხთან დაკავშირებით, პრეზიდენტი ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებებს:

საქონლის შესყიდვის მიზნით, 2015 წლის 22 ივნისის ხელშეკრულებაში იმავე წლის 28 დეკემბერს განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, სათანადო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ, სააგენტოს მიერ 2015 წლის 31 დეკემბერს ავანსის სახით გადახდილ იქნა 46 500 ლარი. შესყიდული საქონლის მიწოდება განხორციელდა ანგარიშსწორებიდან 10 დღის განმავლობაში.

ამასთანავე, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებამდე და ამ პროგრამით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, 2015 წლის შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი ქვეპროგრამის (კომპონენტის, ღონისძიების) უწყვეტი განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსების წყაროსა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 დეკემბრის N647 დადგენილების პირველი მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი სააგენტოს ანიჭებდა უფლებამოსილებას, 2015 წელს ამ ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდული საქონლის (მომსახურების) ბენეფიციარებისთვის მიწოდების ვადა გაეგრძელებინა 2016 წელს. შესაბამისად, სააგენტოს განმარტებით, უკიდურესად გაჭირვებული, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი კონტინგენტის ინტერესების გათვალისწინებით, უფრო მეტი ოჯახისთვის პირველადი მოხმარების საგნების შესყიდვისა და მათი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში სახელშეკრულებო ღირებულების ცვლილების, მიწოდების ვადის გადაწევის და მიმწოდებლის მიერ სათანადო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ, წინასწარი ანგარიშსწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ მოცემულ საკითხზე აუდიტორული შეფასება მოკლებულია სათანადო დასაბუთებულობას, რის გამოც აუდიტის ანგარიშის ამ ნაწილში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება.

## **11. აუდიტის ანგარიშის 2.2. და 2.3. გარემოება („ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების მიმოხილვა“, გვ. 24-26)**

აუდიტის ანგარიშში საკითხი განხილულია ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესების პოზიციიდან, რომლის საჭიროების ობიექტურ საფუძველს ქმნის ანგარიშში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები. შესაბამისად, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშის ეს ნაწილი უცვლელად უნდა დარჩეს.

## **12. აუდიტის ანგარიშის 3.1 გარემოება („ხარჯები“, გვ.18)**

პრეზიდენტი იზიარებს აუდიტის ჯგუფის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ იმ პირობებში, როდესაც იზრდება რეგულირების სააგენტოს ფუნქციები და კომპეტენცია, ხოლო სამტატო განრიგში არსებობს ვაკანტური თანამდებობები, შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯის ზრდა „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულებით დამტკიცებული დანართის საგამონაკლისო ნორმაზე (პუნქტი 3) აპელირებით, საფუძველს მოკლებულია და ვერ ასაბუთებს ხსენებული დანართის პირველი პუნქტით დადგენილი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპიდან გადახრის აუცილებლობას, კერძოდ, შრომის ანაზღაურების მუხლით 2015 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა აღემატებოდეს 2014 წლის საკასო ხარჯს.

ამდენად, პრეზიდენტი მიუთითებს, რომ არ არსებობს აუდიტის ანგარიშის ამ ნაწილში გაუქმების საფუძველი.

## **13. აუდიტის ანგარიშის 4.1. გარემოებაში („შრომის ანაზღაურება“, გვ.28)**

პრეზიდენტი მართებულად მიიჩნევს აუდიტის ანგარიშში გამოთქმულ მოსაზრებას სააგენტოში სამტატო და შტატგარეშე თანამშრომლებისთვის სამუშაო აღწერილობების შექმნის საჭიროების შესახებ. კერძოდ, სააგენტოზე, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი სამტატო ერთეულით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის წესით პირის სამსახურში მიღებაზე (მუხლი 11<sup>1</sup>). ამავე კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სამუშაოს აღწერილობა კონკურსის

შესახებ შეტყობინების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. გარდა ამისა, შესასრულებელ სამუშაოს არსებით პირობად განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი“, კერძოდ, მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე.

გარდა ამისა, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამსახურებრივი უფლებამოსილებების განსაზღვრა - განაწილება ორგანიზაციული სტრუქტურის ნაწილია, რომლის ოპტიმალურად ჩამოყალიბებაზე პასუხისმგებელია დაწესებულების მენეჯმენტი. თავის მხრივ, აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება გამართული და ეფექტიანი კონტროლის სისტემის შექმნის აუცილებლობას, რომელიც ხელს შეუწყობს დაწესებულებას მიაღწიოს თავის მიზნებს.

ამდენად, პრეზიდენტი მიუთითებს, რომ არ არსებობს აუდიტის ანგარიშის ამ ნაწილში გაუქმების საფუძველი.

#### **14. აუდიტის ანგარიშის 4.1. გარემოება („შრომის ანაზღაურება“, გვ.28)**

პრეზიდენტი დადასტურებულად მიიჩნევს აუდიტის ანგარიშში მოცემულ გარემოებას იმის შესახებ, რომ სააგენტოში პრემიების გაცემა ხორციელდებოდა სათანადო დასაბუთების გარეშე. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა წლის ფინანსური აუდიტის რეკომენდაციის საფუძველზე ამ მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენცია.

ამდენად, პრეზიდენტი მიუთითებს, რომ არ არსებობს აუდიტის ანგარიშის ამ ნაწილში გაუქმების საფუძველი.

#### **15. აუდიტის ანგარიშის 4.1. გარემოება („შრომის ანაზღაურება“, გვ.28)**

აუდიტის ჯგუფი ეთანხმება საჩივრის ავტორის მიერ გამოთქმულ შენიშვნას. პრეზიდენტი ასევე მიუთითებს, რომ საქმის გარემოებების სრულყოფილი და სათანადო შესწავლის გარეშე აუდიტორული შეფასების მიცემა საფუძველს მოკლებულია.

ამდენად, პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ამ ნაწილში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება.

#### **16. აუდიტის ანგარიში („კონტროლის სისუსტეები“, გვ.29)**

პრეზიდენტი დადასტურებულად მიიჩნევს აუდიტის ანგარიშში მოცემულ გარემოებებს, რომ სააგენტოს მიერ არ ხდებოდა გამოცემული რევიზიის აქტების და მასთან დაკავშირებული მასალების რეგისტრაცია საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად.

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულების 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „რეგისტრაციას ექვემდებარება, როგორც დაწესებულების მიერ შექმნილი და მის შიგნით გამოსაყენებელი, ისე სხვა დაწესებულებებში გასაგზავნი, ზემდგომი, საქვეუწყებო და სხვა დაწესებულებებიდან, კერძო პირებისაგან შემოსული ყველა ის დოკუმენტი, რომლებსაც საცნობარო მიზნით ესაჭიროება აღრიცხვა, შესრულება და გამოყენება (განკარგულებითი, საგეგმო, საანგარიშგებო, სტატისტიკური, საბუღალტრო, საფინანსო და სხვ.)...“. აღნიშნული ნორმატიული მოთხოვნის მიზანს წარმოადგენს დაწესებულებაში შექმნილი დოკუმენტის, მოცემულ შემთხვევაში რევიზიის აქტების სისტემატიზაცია, აღრიცხვა და მათი დაცვა დაკარგვისაგან, არამართლობიერი გამოყენებისა და დაზიანებისაგან. აღნიშნული ღონისძიება, თავის მხრივ, მიმართულია დაწესებულებაში ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებისაკენ.

ამდენად, პრეზიდენტი მიუთითებს, რომ არ არსებობს აუდიტის ანგარიშის ამ ნაწილში გაუქმების საფუძველი.

#### **17. აუდიტის ანგარიში („კონტროლის სისუსტეები“, გვ.29)**

აუდიტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ რეგულირების სააგენტოს სარევიზიო ჯგუფის წევრები სამსახურებრივ საქმიანობას ერთდროულად ეწეოდნენ დეპარტამენტსა და იმ სამედიცინო დაწესებულებებში, რომლებშიც ახორციელდნენ შემოწმებას.

საჩივრის ავტორმა ზეპირ სხდომაზე წარმოადგინა განმარტებები აუდიტის ანგარიშში აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შექმნის წინაპირობებზე.

პრეზიდენტი მიუთითებს, რომ რევიზია, როგორც მიმწოდებელ დაწესებულებაში პროგრამული შემთხვევის დოკუმენტაციის დეტალური შემოწმების პროცესი, რომლის დასრულების შემდეგ

დგება აქტი და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, რევიზიის აქტის საფუძველზე, მიმწოდებელს ეკისრება ანაზღაურებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება ან/და დამატებითი ფინანსური ჯარიმის გადახდა, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია. აღნიშნული სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, რომლის მიზანი საბიუჯეტო სახსრების და რესურსების კანონიერი, გამჭვირვალე, ეკონომიური და პროდუქტიული გამოყენების უზრუნველყოფაა, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი (მუხლი 11) ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად განსაზღვრავს შესაბამისი კონტროლის გარემოს ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების ხელმძღვანელ და თანამშრომელ პირთა პირად და პროფესიულ პატიოსნებას/კეთილსინდისიერებას და ეთიკური ღირებულებებისადმი ერთგულებას. მოცემულ შემთხვევაში, რევიზიის განმახორციელებელი პირის რევიზიას დაქვემდებარებულ დაწესებულებასთან შრომით ურთიერთობაში ყოფნა სამსახურის ინტერესებთან დაპირისპირების მომეტებულ რისკებს შეიცავს, რომლის ოპტიმალურ დონემდე შესამცირებლად მნიშვნელოვანია, სააგენტოს მიერ განხორციელდეს სათანადო ღონისძიებები სარევიზიო საქმიანობის დამოუკიდებლობის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების განმტკიცების მიზნით, რაც შესაბამისი ინსტრუქციებისა და პროცედურების საფუძველზე სათანადო კონტროლის ღონისძიებების შემუშავებას, დანერგვასა და მათზე ეფექტიან ზედამხედველობას გულისხმობს.

ამდენად, პრეზიდენტი მიუთითებს, რომ არ არსებობს აუდიტის ანგარიშის ამ ნაწილში გაუქმების საფუძველი.

### **18. აუდიტის ანგარიშში („კონტროლის სისუსტეები“, გვ.29)**

პრეზიდენტი მართებულად მიიჩნევს აუდიტის ანგარიშში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ბიუჯეტის შემოსულობების ოპერატიული აღსრულების მიზნით, მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების (ე.წ. „ვერტიკალური პროგრამები“) მიხედვით, 2015 წლის 1 ივლისამდე განხორციელებული ინსპექტირებისა და საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის მიხედვით, 2015 წლის 23 თებერვლამდე პერიოდზე განხორციელებული ინსპექტირების შედეგების თაობაზე ინფორმაციის დროული კომუნიკაცია პროგრამის განმახორციელებელ შესაბამის სუბიექტთან.

ამდენად, პრეზიდენტი მიუთითებს, რომ არ არსებობს აუდიტის ანგარიშის ამ ნაწილში გაუქმების საფუძველი.

## **III**

### **სარეზოლუციონაწილი:**

ხელმძღვანელობსრა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტითა და 29-ე მუხლით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის N14/37 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის“ მე-9 მუხლის მე-12 პუნქტით,

### **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის**

### **პრეზიდენტმა**

### **გადაწყვიტა:**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 03 თებერვლის საჩივარი (N01/6645; სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგ.: N1066/29, 13.02.2017წ.)დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ:

1. აუდიტის ანგარიშის 3.2 გარემოებაში („ხარჯები“, გვ.18) განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება.
2. აუდიტის ანგარიშის 2.1. გარემოება („ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების მიმოხილვა“, გვ.24), რომელიც შეეხება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვის მიზნით ავანსის სახით გადახდის საკითხს, განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება.



3. აუდიტის ანგარიშის 4.1. გარემოება („შრომის ანაზღაურება“, გვ.28), რომელიც შეეხება წახალისებულ თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების საკითხს, განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება.

4. სხვა ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილებაზე ეთქვას უარი.

**პრეზიდიუმის სხდომის თავმჯდომარე,**

გენერალური აუდიტორი  
ლაშა თორდია

